ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3391019

ნომერი: AR1519944

თარიღი : 04.07.2017

გაცემის თარიღი : 13.07.2017

გაცნობის თარიღი : 13.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კილაძე პ/ნ 01017011801
- თბილისი დ.ჭონქაძის ქ. N 12 ბ. 5

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1519944 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ.თბილისში, #01.72.14.007.047 საკადასტრო ერთეულზე ნებისმიერი სახის განცხადების შემოსვლის შემთხვევაში ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას, და ასევე დოკუმენტაციას #490681 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებების

პასუხად გაცნობებთ, რომ 2013 წლის 10 იანვრის #490681გადაწყვეტილებით დადგინდა ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა (ს/კ #01.72.14.007.047) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის (ოქმი #5 (06.02.203)) დადებითი დასკვნის საფუძველზე გაიცა ქ. თბილისის მერის #223 (18.02.2013) განკარგულება და ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა (ს/კ #01.72.14.007.047) განაშენიანების კ-2 კოეფიციენტი განისაზრვრა 1.1-ით. (#536374 გადაწყვეტილება 22.02.2013)

2013 წლის 14 ივნისის #740841 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე, მოქ. ლუდმილა კიკნაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #01.72.14.007.047), ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2017 წლის 22 ივნისის #3323288 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 10 იანვრის #490681 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი;

ამასთან გაცნობებთ, რომ 2017 წლის 11 ივლისს #AR1521847 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ვლადიმერ გაიმ და მოითხოვა ქ.თბილისში #01.72.14.007.047 საკადასტრო ერთეულზე ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით, #3323288 ბრძანების და თანდართული დოკუმენტაციის ასლებს.

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 0 ლარის და 50 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან (სივრცე #4) , შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დანართი: 10 ფურცელი.

გადასახდელი თანხის რეკვიზიტებია:
1. მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3. ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6. გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი (#AR1519944, 04.07.2017წ.)